

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 12 ნოემბრის
დადგენილება № 343

“სტუ-ს მართვის ორგანოების
(მმართველი სუბიექტების) არჩევნების
ჩატარების შესახებ” დებულების ცვლილებებანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

“სტუ-ს მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ” დებულებაში ნაწილობრივ შეიცვალოს პრეამბულა, მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტები, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-18 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი, მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 21-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები, 22-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 24-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტები, 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 27-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-8 პუნქტები, 28-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები, 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, 32-ე მუხლის პირველი პუნქტი, 38-ე მუხლის პირველი პუნქტი, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი (დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

ცვლილებები სტუ-ს დებულებაში

მართვის ორგანოების (მმართველის სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ

პრეამბულა

არსებული:

წინამდებარე დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდების საფუძველზე აყალიბებს მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების), ასევე უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის/წარმომადგენლის არჩევის წესებს.

ახალი რედაქცია:

წინამდებარე დებულება საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდების საფუძველზე აყალიბებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის (შემდგომში „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“) დირექტორის/წარმომადგენლის არჩევის წესებს.

მუხლი 1 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 2. მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის წესი

1. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხდება პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ასევე ფაკულტეტის საბჭოს (თუ ეს ფაკულტეტის დებულებით არის გათვალისწინებული), დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურებს ირჩევს აკადემიური საბჭო და თანამდებობაზე ამტკიცებს (ირჩევს) წარმომადგენლობითი საბჭო.
8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს (ირჩევს) ფაკულტეტის საბჭო.
9. ფაკულტეტის საბჭოს (თუ ეს ფაკულტეტის დებულებით არის გათვალისწინებული), ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის საფუძველზე, ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ცალ-ცალკე.

ახალი რედაქცია:

მუხლი 2. მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის წესი

1. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ასევე ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების გათვალისწინებით.

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს ირჩევს აკადემიური საბჭო და თანამდებობაზე ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

9. ამოღებულია.

პუნქტები 3-5 და 7 არ შეცვლილა

მუხლი 3 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 4. არჩევნების გამოცხადება

1. აკადემიურ და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

2. არჩევნების ჩატარების შესახებ მიღებული აქტები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით, განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში; ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის ორგანოში (ღია კონკურსის შემთხვევაში).

ახალი რედაქცია:

მუხლი 4. არჩევნების დანიშნისა და გამოცხადების წესი

1. აკადემიურ და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

2. არჩევნების ჩატარების შესახებ მიღებული აქტები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით, განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში; ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის ორგანოში (ღია კონკურსის შემთხვევაში).

პუნქტები 3 და 4 არ შეცვლილა

მუხლები 5-16 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 17. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის 1 თვემდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.
2. განცხადებაში, გარდა ამ დებულების დადგენილი ინფორმაციისა, მიეთითება წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რაც განისაზღვრება აკადემიური საბჭოს აქტით.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული განცხადება ქვეყნდება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე.

ახალი რედაქცია:

მუხლი 17. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. რექტორის არჩევნების დანიშნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: რექტორობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით ღვინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.
3. ამოღებულია

არსებული:

მუხლი 18. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება იწყება 17-ე მუხლით განსაზღვრული განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც არის უნივერსიტეტის ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული პროფესორი.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. რეგისტრაცია გრძელდება 1 თვის განმავლობაში.

ახალი რედაქცია:

მუხლი 18. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

პუნქტები 3, 5-7 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 19. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან 1 თვის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 40 დღისა, იმართება უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.

ახალი რედაქცია:

მუხლი 19. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა

1. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ტარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და რექტორის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

პუნქტები 2-7 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 20. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის 1 თვემდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

2. კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს აქტით.

ახალი რედაქცია:

მუხლი 20. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

არსებული:

მუხლი 21. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება იწყება მე-20 მუხლით განსაზღვრული განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღეში.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში.

ახალი რედაქცია:

მუხლი 21. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

პუნქტები 2-3 და 5-7 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 22. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

1. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს ხელახლა წარუდგინოს დასამტკიცებლად იგივე პიროვნება.

ახალი რედაქცია:

მუხლი 22. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

1. წარმომადგენლობითი საბჭო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განსაზღვრულ ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს ხელახლა წარუდგინოს დასამტკიცებლად იგივე პიროვნება.

პუნქტები 2, 4-8 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის 1 თვემდე ვაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

2. კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს აქტით.

ახალი რედაქცია:

მუხლი 23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

არსებული:

მუხლი 24. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება იწყება შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ.

3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში.
7. აკადემიური საბჭო რეგისტრაციის დამთავრებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და მე-11 დღეს, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კანდიდატს, რომელსაც 2 დღის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

ახალი რედაქცია:

მუხლი 24. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
 3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის წარდგენა.
 4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
 7. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კანდიდატს, რომელსაც 2 დღის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
- პუნქტები 2, 5-6 არ შეცვლილა*

არსებული:

მუხლი 25. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ან დასაბუთებულ უარს აცხადებს მის დამტკიცებაზე.

ახალი რედაქცია:

მუხლი 25. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დანიშნულ ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ან დასაბუთებულ უარს.
- პუნქტები 2-6 არ შეცვლილა*

არსებული:

მუხლი 26. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის

ვადაში. აღნიშნული ვადის 1 თვემდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

2. კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს აქტით.

ახალი რედაქცია:

მუხლი 26. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავ აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

არსებული:

მუხლი 27. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება და არჩევა

1. კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება იწყება შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 20 დღის განმავლობაში.

8. აკადემიური საბჭო შემოსულ განცხადებებს განიხილავს 10 დღის ვადაში, ეცნობა კანდიდატურებს, მათ სამოქმედო გეგმებს და მე-11 დღეს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს.

ახალი რედაქცია:

მუხლი 27. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება და არჩევა

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

8. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს.

პუნქტები 2, 3, 5-7 და 9 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 28. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების შესახებ განცხადებას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის 1 თვემდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც არის უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

ახალი რედაქცია:

მუხლი 28. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
 2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.
- პუნქტები 3-4 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 29. დეკანობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება იწყება შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ.
2. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული თანამდებობის დამადასტურებელი დოკუმენტისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

ახალი რედაქცია:

მუხლი 29. დეკანობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

პუნქტები 3, 5-7 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 30. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან 10 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 15 დღისა, იმართება ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.

ახალი რედაქცია:

მუხლი 30. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. დეკანის არჩევნები ტარდება "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

პუნქტები 2-4 არ შეცვლილა

მუხლი 31 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 32. ფაკულტეტის საბჭოს არჩევა

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან (თუ ამას ითვალისწინებს ფაკულტეტის დებულება) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა, შემადგენლობა და არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ახალი რედაქცია:

მუხლი 32. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით.
პუნქტი 2 არ შეცვლილა

მუხლები 33-37 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 38. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში საკუთარი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ, ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერ კომისიის წევრთან (წევრებთან), რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის ადგილზე აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი ვაკანსიაა გამოცხადებული, იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან, საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ არაგამჭვირვალე კონვერტში, აგდებს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. ოთახში ორზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა არ არის მიზანშეწონილი.

ახალი რედაქცია:

მუხლი 38. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში საკუთარი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ, ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერ კომისიის წევრთან (წევრებთან), რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის ადგილზე აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი ვაკანსიაა გამოცხადებული, იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან, საარჩევნო ბიულეტენს აგდებს საარჩევნო ყუთში და გადის ოთახიდან. ოთახში ორზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა არ არის მიზანშეწონილი.

პუნქტები 2-3 არ შეცვლილა

მუხლი 39 არ შეცვლილა

არსებული:

მუხლი 40. არჩევნების შედეგების შეჯამება

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.
9. ფაკულტეტის საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენიც დადგენილია ფაკულტეტის დებულებით.
11. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სრული დოკუმენტაცია და ბეჭედი არჩევნების შედეგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების დოკუმენტაციები კი – შესაბამისი ფაკულტეტების არქივებს.

ახალი რედაქცია:

მუხლი 40. არჩევნების შედეგების შეჯამება

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი და სტუდენტთა საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის მესამედზე მეტი; გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებულად ჩათვლის შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის მიიღება ცალ-ცალკე.
 9. ამოღებულია.
 11. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სრული დოკუმენტაცია და ბეჭედი არჩევნების შედეგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების დოკუმენტაციები და ბეჭდები კი – შესაბამისი ფაკულტეტების არქივებს.
- პუნქტები 1-2, 4-8 და 10 არ შეცვლილა

მუხლები 41-43 არ შეცვლილა